ავტობიოგრაფია

მე, თამარ მახარობლიძე, დავიბადე 1991 წლის 1 აგვისტოს ქ. თბილისში.

2008 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 64-ე საჯარო სკოლა.

უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ყველა საფეხური დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2012 წელს მომენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ხოლო 2014 წელს - მაგისტრის ხარისხი. ამავე წელს ჩავირიცხე სამართლის სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც დავასრულე 2020 წელს. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვა შედგა 2021 წელს და ამავე წელს მომენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2017 წლიდან ვეწევი სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე - რამდენიმე კერძო უნივერსიტეტში. ამჟამად, ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა მიკავია საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში. ვარ რამდენიმე სამეცნიერო სტატიის, ერთი წიგნის თანაავტორი და ერთი წიგნის ავტორი. ამასთან, მონაწილეობა მაქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

გარდა ამისა, მაქვს პრაქტიკული გამოცდილება. არაერთი წელი ვიმუშავე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტში, სადაც ყოველდღიურად ვეწეოდისამართალშემოქმედებით საქმიანობას, ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებასა თუ ექსპერტიზას.

2023-2024 წლებში ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და მსურს, რომ გავხდე მოსამართლე. ვფიქრობ, შევძლებ კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას, ასევე საქმეთა ნაკადის ეფექტურ მართვას. სრულად დავიცავ სამოსამართლო ეთიკის წესებს, გავაგრძელებ პროფესიულ წვრთნას და წვლილს შევიტან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის განვითარებაში. მიმაჩნია, რომ სრულად ვაცნობიერებ მოსალოდნელ პასუხისმგებლობას და მზად ვარ ვატარო ისეთი მაღალი სტატუსი, როგორიც მოსამართლეა, როგორც სასამართლოს შენობაში, ასევე - მის გარეთ.

თამარ მახარობლიძე

12.11.2024